# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 245

17 აგვისტო 2018 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ლილოს დასახლების მე-5 კვარტალის, კორპუსი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.007.005.01.098) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ლილოს დასახლების მე-5 კვარტალის, კორპუს №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.007.005.01.098) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 აგვისტოს №18.609.947 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ლილოს დასახლების მე-5 კვარტალის, კორპუს №2-ში, 93.00 კვ.მ ფართობის ბინა №98-ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.27.007.005.01.098) პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზებაზე, მოქალაქე მარინე მირიანაშვილისთვის (პ/ნ: 01014003803) გასაფორმებელი ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე